№ 273
შაბათი, 24 დეკემბერი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877--1894

ივერია

№ 273
შაბათი, 24 დეკემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“

გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი

ახლად შეკეთებულს სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში შობის მეორე დღიდან დაიწყება ჩვეულებრივი წარმოდგენები ქართული დრამატიული დასისაგან.

რეპერტუარი
ორშაბათს, 26 დეკემბერს

I
სეველიელი დალაქი
კომედია 4 მოქმედ. ბომარშესი, თარგმ. დიმ. ყიფიანისა.

II
სუსტი მხარე
ვოდ. 1 მოქ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი და სხვ.

ოთხშაბათს,, 28 დეკემბერს,
გამართული იქნება საიუბილეო წარმოდგენა
კონსტ. დიმიტ. ყიფიანის 25 წლის მოღვაწეობისა გამო სამშობლო სცენაზე.

I
დამნაშავის ოჯახი
დრამა 5 მოქ. ჯიაკომეტისა თარგმანი

II
დატრიალდა ჯარა
ვოდ. 1 მოქ. გადმოკეთ. კ. ყიფიანის მიერ
მონაწილეობას იღებენ ყველა არტისტნი.

პარასკევს 30 დეკემბერს
ვლ. ალექსეევ-მესხიევის პირველ გამოსვლისათვის ამ სეზონში

I
უდანაშაულოდ დასჯილნი
კომედ.. 4 მოქ ოსტროვსკისა თარ. ი. მ—ისა

მონაწილეობას იღებენ: საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა ბ-ნნი აბაშიძე, მესხიევი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვანი.

ორშაბათს, 2 იანვარს
მოსაგონებლად ქართულის თეატრის დაარსებისა (1850 წ. 2 იანვარს)
წარმოდგენილი იქნება
გაყრა
კომედ. 5 მოქმ. თხზულ. თ. გ. ერისთავისა
მუსიკალური განყოფილება და ცხოველი სურათები

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. წარმოდგენები დაიწყება სწორედ ს ღამის 8 საათზედ. შეგირდებისათვის ადგილები ამფითეატრში 50 კ.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მ. მოყოლებული 10 მ. პარტერში სკამები 65 კ. მოყოლებული 3 მ. და გალერეია 20—40 კ.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი რ. დუმას ლოტბარობით.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი
ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

ტფილისი, 24 დეკემბერი

„სამხედრო სასამართლოს გამომძიებელმა გასცა ბრძანება სტამბულოვის დაპატიმრებისა, ვითარცა მონაწილეობის მიმღებისა ბელჩევის მკვლელობაში; მაგრამ სტამბულოვი ჯერ დაპატიმრებული არ არის“-ო გვაუწყებს სოფიიდან მოსული დეპეშა.

თუ კაცს უფლება აქვს დაემდუროს თავისს ბედს—ეს უფლება სტამბულოვს ყველაზედ მეტად უნდა ჰქონდეს.

გუშინდელი სრულ-შემძლებელი, მბრძანებელი თვისის ქვეყნისა, ცას-ქვეშეთში სახელ-განთქმული დიპლომატი, რომელსაც მრავალი ბისმარკსაც-კი ადარებდა, და უკანასკნელის შვიდის წლის განმავალობაში მთელის ევროპის საყურადღებო და სალაპარაკო დიქტატორი ბულგარიისა—დღეს უბრალო ავაზაკთა თანაბრად არის ჩარიცხული და საცაა პატიმრის ფარაჯას ჩააცმევენ!

თუ რომ სამხედრო გამომძიებელს აღეძრა ეს ბრალდება სტამბულოვზე, როდესაც იგი მინისტრად იყო, უეჭველია, ამ საქმისაგან უსაფუძვლო ცილის წამების გარდა, არა გამოვიდოდა-რა და თამამს გამომძიებელს ასეთი ახირებული აზრი არც დაებადებოდა. მაგრამ სულ სხვა არის დღეს, როდესაც სტამბულოვი კერძო კაცად შეიქნა და ბულგარიის მთავრობას საშუალება აქვს ისე მოაწყოს ბელჩევის მკვლელობის გამოძიება, როგორც ენებება. ამ მდგომარეობაში მცირეოდენი ეჭვიც არა გვაქვს, რომ სტამბულოვი დამნაშავე აღმოჩნდება სასამართლოს წინაშე, რადგანაც პრინცის კობურგის მთავრობა, თუ წინდაწინ დარწმუნებული არ იყოს, რომ ადრინდელი დიქტატორი ბოლგარიისა ვეღარ დაახწევს თავს აღძრულს ბრალდებისაგან, მაშინ ხომ სტამბულოვის სამართალში მიცემისა და დაპატიმრების ნებას აღარ დართავდა.

მაგრამ სინიდისსა და გულის სიწმიდეზე იქნება აგებული სტამბულოვის გასამართლება დღეს, როდესაც იგი განრისხულია და მთელი მთავრობა ქვეყნისა მტერია იმისი?

— არა გვგონია, რომ საზოგადოების სამართლიანი გრძნობა დააკმაყოფილონ სტამბულოვის მსაჯულებმა, თუ რომ გაამტყუნეს იგი და დასდეს საშინელი ბრალი მკვლელობისა. მთავრობამ არ უნდა დაივიწყოს რომ მტრისაგან გასამართლებული და დასჯილი კაცი ქვეყნის წინაშე კიდევ არ არის ნამდვილად დამნაშავე.

მსაჯულისათვის საჭიროა სრული უანგარობა, როგორც ნივთიერი, აგრეთვე ზნეობირი და გონებრივი. ხოლო დღევანდელნი მოწინააღმდეგენი სტამბულოვისა ვერ დაიტრაბახებენ, რომ ეს თვისებანი უნაკლულოდ მოეპოვებათ. ამიტომ სტამბულოვის

ფელეტონი

ყავდინა ბიბილაშვილი

(ოსთა ცხოვრებიდან)

დასაწყისი იყო ზამთრისა. ბიბილაანთ სოფელს მთლად ჭირხლი მოსდებოდა, რომელიც ახლად ამომავალ მზის სხივებს ოქროს ფრად შეეღება. მშვენიერი დღე გათენდა. მცხოვრებლებმა არა ჩვეულებრივ გვიან გამორეკეს საქონელი, რომლებიც ზარმაცად მიიზლაზნებოდნენ წყლის სალევლისაკენ. საქონელს ზარმაცად მისდევდნენ პატრონებიც. რაკი დაალევინებდნენ წყალს თვით პატრონები უქმე დღის გამო თავს იყრიდნენ ყავდინა ბიბილაშვილის დერეფანში. ყავდინა იყო ერთად-ერთი წარჩინებული მოგვარე ბიბილაანთი, თუმცა სისხლითა და ხორცით სხვას ეკუთვნოდა. იგი არ იყო მუშა. ტანთსაცმელით ბევრად განსხვავდებოდა მეზობელ-მოგვარეებისაგან. გამოცდილება, ქალარა შერთული სახე, ბატონთან მოურავად მყოფლობა—აძლევდა ოსობაში ერთობ დიდს პატივს და უპირატესობას. მასთანავე მისი მუდმივი ჩაფიქრებული სახე, გაუტეხელი, ჯიუტი ხასიათი და მკვახე-ლვარძლიანი ენა უნერგავდა შიშსა და ძრწოლას მთელს იმის მოგვარეთა. როგორც მოურავს, დიდი ზედმოქმედება და გავლენა ჰქონდა ოსების ჭკუა-ქონებაზედ. მებატონეს ემსახურებოდა ბავშობიდგანვე აგერ ოც-და-ხუთი წელიწადი იქნება. არავინ იცის მიზეზი ასე ხანგრძლივის სამსახურისა. სცხოვრობდა მეზობლებზედ ღარიბად, სარჩოს დაუზოგავად.

დღეს ყავდინას წვეულება ჰქონდა გამართული. ერთი კაი საკლავი დაკლა, რომელიც გზად მიმავალ ცხვრიდგან აესხლიტა მებატონის სახელით საბალახეზედ. თანვე წამოეღო ექვსი თუნგი კარგი ღვინო მებატონისავე მარნიდგან. მისის ოჯახის წლის ამბავი ყველამ დაწვრილებით იცოდა, მაგრამ ვინ გაუბედავდა რაიმე იჭვის შეტანას! ყავდინას ცხოვრების საგანს ქეიფი და ვაჟკაცობა შეადგენდა. ჯანი შესწევდა და ამიტომ უზომოდ მკლავზე იწევდა... იარაღი ძლიერ უყვარდა; კაი შეკაზმულს ლეკურს ანაცვალებდა არამც თუ თავისს მანათიან სარჩოს, მებატონის ათასებსაც!

მეზობლებთან და უმეტეს მოგვარეებთან ძლიერ ამაყად ეჭირა თავი. თუ არ სასმლის დროს, ვერავინ აალაპარაკებდა. ღვინოს რომ მოიჭარბებდა, ქირვეულობა იცოდა. თუ ვინმე მეზობელთაგანი იგავით შეეხებოდა იმისის ოჯახის რაიმე ნაკლულევანებას, ის ამაყად მიუგებდა პირდაპირ—დაუფარავად: „რაც მე ჩემს ბატონს ერთ თვეს მოვპარავ, მთელ ჩემ მოგვარეებს არ ექნებათო“. მოგვარენი ეთანხმებოდნენ, თუმცა ოჯახში ვერასა ჰხედავდნენ...

დღეს ბიბილაანთ კარგად მოილხინეს: ღვინოს ზედ მოჰყვა ლუდი და არაყი, მოურავთან ზღვნად მოტანილი. შეზარხოშებული ოსების „ზახტა-ქოტამ[1] ყურთა ხმა წაიღო. ყველა თავისს თავგადასავალს ამბობდა. შეიქმნა თანაბარი ყაყანი. ყავდინას დერეფანი, ამ ჟამად ურიების თორას ემსგავსებოდა.

საოცარის გატაცებით ბაასობდა ყავდინა, რომლის წინააღმდეგ ვერავინ ჰბედავდა თქმას. იცოდნენ იმისის ახირებულის ხასიათის ამბავი მეტადრე სასმლის მოჭარბების დროს და, მეზობლები ყველაში „ბაშუსტას“ ეუბნებოდნენ. ხოლო იმათში ერია უცხო სტუმარიც, რომელიც სასმლის მორევამდე იკავებდა თავს, თუმცა საოცარი წინააღმდეგი გრძნობა ურევდა გულს. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა, დაიწყო ყავდინასთან კამათი; ყავდინაც თითქოს სცდილობდა ჩვეულებრივ ღელვათა დაძლევას, მაგრამ ვერ მოითმინა და მოწინააღმდეგე უპატიო სიტყვებით მოიხსენია. თურმე მოწინააღმდეგე სასმელში იმაზედ უარესი ახირებული ყოფილა; ვერ აიტანა შეურაცხება და არყის ყანწი თავში ზღრუზა. ორთავენი წამოცვივდნენ ფეხზედ. შეიქნა ვაივაგლახი და მიხლა-მოხლა. უცხო ოსი გაიყვანეს ყავდინას მეზობლებმა. ცოტა ხანს შემდეგ ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

ამ შემთხვევის შემდეგ, ყავდინას მეზობლებმა შესთხზეს ის აზრი, რომ მისი შეურაცხმყოფელი ახლო მომავალში წუთი-სოფელს უნდა გამოსალმებოდა. გავიდა რამდენიმე კვირა, ყავდინა და მისი მოწინააღმდეგე უვნებლად სცხოვრობდნენ. თუმცა არა ჩვეულებრივმა მშვიდობიანად საქმის დაზავებამ ცოტა ხნობით გააკვირვა მეზობლები, მაგრამ ხანგრძლივის ხნის შემდეგ მიივიწყეს.

—

ერთის თვის შემდეგ ყავდინამ განმეორებით თავი დაუკრა თავისს მეზობლებს... საღამო იყო, როდესაც თავისს მახლობელ ნათესავს ციპოს ამოუარა სახლის კარზედ და სთხოვა:

— ამაღამ შემიკრიბე მეზობლობა და ნათესაობა ვახშმად გპატიჟებთო.

ციპამ გადაათვალიერა ცხენზედ აკიდებული ხურჯინის თვლები და თვალი რომ ტიკის ფეხს შეასწრო მორჩილად მიაძახა: „ბატონი ბრძანდები არ დავიგვიანებთო“. არ გასულა ნახევარ საათმა, ბიბილაანთ თავი მოიყარეს ყავდინასთან. უცხო ოსი არავინ დასწრებია. ყავდინა მხიარული მასპინძელი იყო ამ ჟამად. სახე უბრწყინავდა, თუმცა სევდის დაღი ეტყობოდა. ასეთ მხიარულ გუნებაზედ, ასე თავდაბლად და გატაცებით მოლაპარაკედ ყავდინა არავის უნახავს, შუაღამე გადასული იყო, როდესაც სუფრიდგან აშლილი მეზობლები შეაჩერა.

— მე მინდა, მავსმერთე[2], ცოტა გესაუბროთ, გულის პასუხი გაგინაწილოთ.

მეზობლები მორჩილად ჩამოდგნენ. ყავდინამ მოიკალათა სტუმრების გვერდითვე. სიჩუმე ჩამოვარდა. ზოგმა ჩიბუხი აანთო, ზოგმა თამბაქოს დაუწყო ღეჭვა. ყველა მოუთმენლად ელოდა ყავდინას სიტყვას.

— ირონავ მახიონთე!—[3] დაიწყო ყავდინამ: უნდა გაგიხსნათ ჩემი გული და მოგახსენოთ ამ უკანასკნელს ჟამს რაც ნაღვლად შემომწოლია. ჩემი ნათესავნი ხართ, მიყვარხართ, პატივს გცემთ და არ მინდა თქვენთვის საიდუმლოდ დარჩეს ჩემი გულის პასუხი.

ყავდინამ წარბები აიწია, მოიკრიფა აზრები, მედიდურად გადისვა თავზედ ხელი. მეზობლები ხმა ამოუღებლივ შესცქეროდნენ. ცოტა ფიქრის შემდეგ—განაგრძო:

— ამას წინელი ჩემი თავის შეკავება გაგაკვირვებდათ. გასაკვირიც იყო, ღვთის წინაშე, რადგან მე არა მაქვს ჩვეულება ვისმე ყმად გავუხდე და ჩემი სახელი შევალახვიო, მაგრამ ყანწის სროლა დავუთმე მე ჩემ თავს და არა იმ უცხო ვიღაც კარდაკარ მოწანწალეს. ის სოფელში შეიშვება? ამ სამი წლის წინად კაი ჭირის ოფლი ვახდევიე „მოსაბრუნთან“: ბატონმა გამგზავნა მთაში საბალახეს ასაღებად; ავლით კარგა ღაზათიანად გადავკარი ჰაზაროს დუქანში და, ხომ იცით ჩემი ჩვეულება, გზაზედ შარი შარამათს

---

[1] ყაყანმა.

[2] ძმებო.

[3] აქ ოსების მიწა-წყლისანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასამართლება ამ მდგომარეობაში, როდესაც იგი მთელის ეხლანდელის მთავრობის მტრად ითვლება, იქნება სამართალი მტარვალთა და არა სიმართლის მსაჯულთა, რომელნიც მხოლოდ ჭეშმარიტებას ეძიებენ. სტამბულოვს თამამად შეუძლია განიმეოროს ერთის ვექილის სიტყვა მსაჯულთა წინაშე წარმოთქმული წარსულ საუკუნეში: „მე ვეძებ აქ მსაჯულთ და ვხედავ მხოლოდ მტარვალთა“.

მაგრამ იქნება ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა არ მიიყვანონ იქამდე პრინცის ფერდინანდის მთავრობა და სტამბულოვი განათავისუფლოს მათმა შუამდგომლობამ. თუმცა დეპეშაში ისიც არის, რომ სწორედ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ურჩევენ კობურგს, რომ სტამბულოვს თავი დაანებოს, მაგრამ ვინ იცის რამდენად გასჭრის ეს გონიერი რჩევა.

ძნელია, რასაკვირველია, იმისი თქმა, რითი დაბოლოვდება ეს საქმე, მაგრამ პრინცის კობურგის მთავრობამ, რომ დიდი სკანდალი უკვე მოახდინა სტამბულოვის სამართალში მიცემით, ეს ცხადია.

დღეს, რაც უნდა სთქვან, სტამბულოვი ერთ დროს თავისს სამშობლოს ერთგული მცველი იყო. მან რამდენმეჯერ იხსნა ახლად განთავისუფლებულის ბულგარიის ერის არა მარტო პატივი, არამედ თვით არსებობაც ქვეყნისა. ასეთის კაცისათვის ტალახისა და ქვის სროლა ძალიან საფრთხილოა და, თუ დღევანდელი ბულგარია არა, ისტორია ამ ქვეყნისა მადლობით არ მოიხსენიებს გერმანიის პრინცის მთავრობას, რომელმაც არ დაინდო სტამბულოვი.

ბულგარიის ადრინდელ დიქტატორს შეუძლია სთქვას დღეს იმერეთის მეფის დავითის სიტყვები, წარმოთქმული იმის შემდეგ, რაც მისმა ძმისწულმა სოლომონმა ჩამოაგდო იგი ტახტიდან:

დროსა შევესწარ ასეთსა, გულს ცეცხლი გამიალესა:
ღინჭილად სთვლიან ალმასსა, ბრილიანტსა და ლალებსა!
მურასით სჭედენ ვირებსა, დააკრენ ოქროს ნალებსა,
ბედაურებსა კურტნის ქვეშ სცემენ, ვინ შეიბრალებსა!

მეველე

ახალი ამბავი

⁂ 28 დეკემბერს 25 წელიწადი უსრულდება კ. დ. ყიფიანს, რაც იგი ქართულს სცენას ემსახურება და იღვწის ხელოვნების სარბიელზედ. საზოგადოდ კ. ყიფიანის ოჯახს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულის თეატრის საქმეში და რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი საზოგადოება შესაფერად დაუხვდება ნიჭიერის არტისტის იუბილეის და ქართულის სცენის დღესასწაულად ჩასთვლის ამ დღეს.

⁂ ამ ჟამად კავკასიის საექიმო დაწესებულებას საგნადა აქვს გამოიკვლიოს, რა რიგად უნდა იყოს შემოღებული ჩვენში სავალდებულო ყვავილის აცრა. განზრახვა აქვთ, თუ ზოგიერთი სასოფლო საზოგადოება ვერ შესძლებს ხარჯის ატანას, საერო თანხიდგან ხარჯონ ამ საქმისთვის საჭირო ფული.

⁂ გაზ. Бирж. Вѣд. იუწყება, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ-ნ იანოვსკის პეტერბურგს ელიანო.

⁂ ახალ-ქალაქის მაზრა. ჩვენის მაზრის „დუხობორებმა“ ლევ ტოლსტოის „კრეიცერევა სონატის“ თანახმად დაიწყეს ცხოვრება. თამბაქოს აღარ ეწევიან, არაყსა და ღვინოს აღარ სმენ, ხორცის ჭამაც აღკრძალეს და ცოლებთანაც პირობა შეჰკრეს და-ძმასავით უნდა ვიცხოვროთო.

⁂ ბარის ოსები. წელს ბარის ოსებში ძალიან თბილი ზამთარი მიდის, ასე გასინჯეთ წყლებიც არ გაუყინავს და ოთხ-ფეხი საქონელი ისევ დაუდით მინდვრად ნასიმინდრებში საძოვრად. ბარის ოსებში ხმა დადის, რომ როგორც სმეკალოვის დროს იყო, ისევ ისე უნდა შემოიღონ „როზგი“ ქურდობისათვისაო.

⁂ განჯა 22 დეკემბერს. ნაშუადღევის 3 საათზედ მემაშინის თანაშემწემ ვლადისლავ ბენაშევიჩმა თოფი დასცა მემაშინე კარლ კოვალსკის, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. მიზეზი ამ მკვლელობისა ის არის, რომ ბენაშევიჩს ეჭვი აეღო, ვითომ კოვალსკი ჩემს ცოლს ეარშიყებოდაო.

ნაწყვეტები

რად მინდა ზღვა და ხმელეთი,
ლურჯი ცა, მთვარე-მზიანი,
რად მინდა ქვეყნის სიმშვენე:
მინდორი, მთანი ტყიანი,
რად მინდა სახელ-დიდება,
ცხოვრება დოვლათ-სვიანი,
თუ გულს არა ჰყავს, ვინც უყვარს,
სატრფო ნაზი და ჭკვიანი.

დ. მაჩხანელი

კორესპონდენცია

სოფ. ბებნისი. (გორის მაზრა); 21 დეკემბერი. სოფ. ბებნისის მცხოვრებნი დიდს შეწუხებაში ვართ სიღარიბისა და უშოობის გამო.

აი უმთავრესი მიზეზნი ჩვენის სიღარიბისა:

1) მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ მდებარე ჭალას (როგორც ეძახიან) გვედავებოდნენ თ. თ. ც—შვილები. დავამ გასტანა სრული რვა წელიწადი, რის განმავლობაშიაც ჩვენი უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო, ჩვენი ცხოვრება ზედ გადავაგეთ. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ დავა ჩვენ სასარგებლოდ გათავდა: ჭალა ჩვენ დაგვრჩა.

2) შემდეგ ამ სამი-ოთხის წლის წინად გარდავვხდა ერთბაშად ორმოცდა-შვიდს კომლს (რისგანაც შესდგება ეს სოფელი) 1,800 მან. ძველი სახელმწიფო ვალი, რის გამოც ყველა ჩვენგანი იძულებული იყო ურიებისგან აეღოთ მამა-სისხლის სარგებლით ვალი, რომელიც ეხლაც კისერზედ გვაწევს და პასუხი ვერაფრით გაგვიცია მოვალეებისთვის.

3) მერე ჩვენმა სულიერმა მამამ მოისურვა ახალის ეკკლესიის აშენება, რომელიც დაგვიჯდა 1,600 მან. (ეს ფული მოიკრიბა სოფელში „ზეკუციის“ ძალით) გარდა შიგნით-გამართულობისა. ეკკლესიის შიგნით გამართვის დროც მოგვდის და საიდგან გავცეთ პასუხი გამმართავს?!. გამორჩენა არსაიდგანა გვაქვს.

მართალია, პურის მოსავალი კარგი გვქონდა, მაგრამ წრეულ პურს ფასი ძალიან შეუმცირდა. ამითი ისარგებლეს აქაურმა ჩარჩებმა, თუ მოვალეებმა და სულ ნახევარ ფასად გაზიდეს იმოდენი პური, ჩვენც მეტი ღონე არა გვქონდა, უნდა მიგვეცა, რადგან „ფოსტის“ ფულის შოვნა ჩვენთვის შეუძლებელი იყო. დაგვრჩა სარჩოდ რთვილისაგან სინედლეშივე მოშრეტილი სიმინდი (ზოგს ისიც გვენატრება)!..

დიდს შეწუხებაში ვართ აგრეთვე უშოობის გამო: მჭადი ვერაფრით გამოგვიცხვია ხეირიანად (ნახევრობით ცომსა ვსჭამთ), ვერაფრით მოგვიხარშავს ჩვენი საყვარელი საჭმელი ლობიო. რაღაც ხეხილები გვეგა ვენახებში, სულ ერთიანად გავჩეხეთ და დავწვით კიდეც. ლობეები ხომ აღარ შევარჩინეთ ვენახებს. ამ სოფლის მომეტებულ ნაწილ მცხოვრებთათვის ტყის გზა დახულია, რადგან სალბაშის გარდახდა ვერ შევიძელით. სიცივისაგან შევიწროვებულნი ნოტიო ბოსლებში ვიჯუჯგებით, მაგრამ ავადმყოფობა „ქვალი“ არც ამითი იშლის თავისას: მოუსპო სიცოცხლე ბევრს დედის ერთა ვაჟს. მათი ხვედრი ფული სახაზინო გარდასახადისა, თუ სხვა წვრილმანი ხარჯი აწვებათ კისერზე დალატაკებულთ მცხოვრებთ და ეწევიან ამ უღელსაც, ვინ იცის, როდემდის?! აქამდის კიდევ ვენახების ხეხილით-ლობეებით იოლად მივდიოდით, ისიც გამოგველია და ამას იქით არის ჩვენი გაჭირვებისა და ვაი-ვაგლახის დღე: როგორ უნდა გავატაროთ მთელი ზამთარი უცეცხლოდ?!.

არც თუ სხვაფრივ გვაკლია შეწუხება: რამდენი კუდა ჩაფარი, ან „მოსე მწერალი“ აივლ-ჩაივლის და ბატონებს ქარელის სადგურზე გაისტუმრებენ, იმდენი ჩვენ უნდა შევინახოთ ისინი ორი-სამის ცხენით ესენი გულ-და-გულ მიდიან ამ სოფლის მოხელესთან და ცემა-ტყეპით ჰგზავნიან სოფელში ცხენებისა და თავიანთი საჭმლის მოსატანად. უქათმოდ და უღვინოდ ხომ ლუკმას არ გაჰლექავენ დალოცვილის შვილები: ლობიო რა ჩვენი საჭმელიაო?!.

ამ გვარად ბატონების ლოდინში უღამდებათ იმათ სამი-ოთხი დღე, ზოგჯერ კვირაც, რის განმავლობაშიაც სოფელმა უნდა ასაზრდოვოს იგინი. სასურველია, ამ ჩვენს გარემოებას ყურადღება მიექცეს და შეღა-

---

გამოვეკიდე. შემხვდა ეგ ფარსი თავისი ცხვრით; ისიც გადაკრულში იყო. მე შევუტიე და ვუთხარი, რომ როცა გზად ცხვარი მიგიდის, აქეთ-იქით მამულებზედ ნუ აძოვებ-მეთქი. გარშემო მამული სულ ჩემი ბატონისაა-მეთქი; იმან პასუხის შემობრუნება გამიბედა. წავიწიეთ ერთმანეთზედ. დაგვეხვივნენ მე და ჩემ ორ ჩაფარს ცხრა მეცხვარე. მე, „შენი ჭირიმე ჩემო გორდავ!“ გადავკარ ფარსის ხმალი და მარცხენა ხელის კუნთი ჩაუსხიპე. ჩემმა ჩაფრებმაც ორი დასჭრეს. იკადრეს მეცხვარეებმა დამორჩილება და, ორი კარგი ჭედილა წავართვით. ის ჭედილები ჩვენვე შევჭამეთ,—მებატონეს ხვაფრათ ვაჩვენეთ საქმე, ვითომც მამულზე მოხდა და ფულებიც ვახარჯვიეთ სასამართლოში. ჩვენ თავი გავიმართლეთ და ფარსი პირიქით დაიჭირეს... მას აქეთ ჩანთქა შური ფარსიმ და საცა შემხვდება, ბავშვურათ მეკინკლავება. თავი დამანებოს, თორემ... მე ყავდინას მეძახიან...

ყავდინა გაბრაზებული წამოვარდა. ქადილის ნიშნად დაიქნია თითი, თითქო ახლა ფარსისთან საუბრობსო და სთქვა: „ხვცავარდისჯენ [4]), მემერტისტენ [5]), ხიფათი მოხდება... მე... მე სულ სხვა ირონა [6]) ვარ. მე ისეთი კაცი ვარ, რომ ან ცხვირს „დავჰრობს“, ან ყურს „მოვჰრობს“. როგორ შეუძლიან ჩემთან ფარსის ბრძოლა! ჩემ თავად, ჯანი რომ არ შემწევდეს, ფულით გავიტან თავსა. განა მე ფული არა მაქვს? რამდენჯერ მითქვამ, რასაც ჩემ ბატონს ერთ დღეს მოვპარავ შემოსავლიდგან, ის მთელ ფარსის მოგვარეებს არ ექნებათ. ბალაცუთ [7]), მის ოხტიდან მალე მოვალ... ამასწინელი „აბიდა“ მიტომ დავუთმე, რომ ამ დღეს ველოდი. ახლა ვიცი საცაა. ვიცი და საცა ვიწროა, იქ დავუხვდები. ვაჟკაცობა თუ უნდა, იქ იჩინოს. საამდროოდ დიდი ხანია თავს ვინახავდი და ვნახოთ“...

— ყავდინ, გააწყვეტინა სიტყვა ერთმა სახლიკაცთაგანმა: ხიფათს სიფრთხილე უნდა, რა ვუყოთ, ყანწი გესროლა, შენც შეაგინე. ხომ არ დაახრჩობ. ნასწავლი ხარ, ისევ შენ უნდა მოუთმინო.

— ნაი, ნაი, ნაი [8]) მემერტისტენ!.. ჩემი ბატონი, ჩემი ბატონის სარჩო, მთლად ავლა-დიდება და ას-ოთხმოცი გლეხ-კაცი მუჭაში მიჭირავს, და იმ წუნკალის დავეჩაგვრინები... ჩემი გულის პასუხი გითხარით. მგონი გაიგეთ. თუ მოვკვდი, მომიხსენიეთ, თუ ცოცხალ ვარ—ნუ გამცემთ. აი ჩემი თხოვნა. ჰო, ნუ გამცემთ, რადგან ვიცი სიკვდილი ვისაც უწერია... ასე, თქვენი ჭირიმე, ახლა გზა დამილოცეთ.

ყავდინას ხალხი შემოეხვია გარს. ზოგი თავს უკრავდა, ზოგი ხელზედ ჰკოცნიდა, ზოგიც კალთაზედ. დერეფანში რომ გამოვიდა, სთხოვა ხალხს დალოცვა. მოგვარეებმა ერთხმათ აღიარეს: „ხვცაუ ხორზ ზახტა, ხვცაუ ხორზ ზახტაო“... [9])

გამოსალმების დროს ყველა რიგიანად იყო დამბალი ღვინით, ყავდინა ხომ ბარბაცებდა კიდეც. მედიდურათ გასძახა ჩაფრებს: „ზაპროგაიო“. ეს სიტყვა გაეგონა მებატონისაგან, როდესაც იგი უბრძანებდა ხოლმე ეტლის შებმას. ყავდინა ამ სიტყვას სხვა სიტყვის ბადლად ხმარობდა დამახინჯებით. მას ჩვეულებად ჰქონდა რუსული ენის მტვრევა და მეტადრე მაშინ, როდესაც ნასვამი იყო. ოსებს საზოგადოდ უყვართ რუსული ენა, თუმცა ვერ ითვისებენ. უყვართ სასმლის დროს ხმარება ამ ენისა სამასხარაოდ, საოხუნჯოდ. სხვა დროს-კი ქართულს უფრო ეტანებიან, რადგან ესმით, რომ ქართული იმათთვის აუცილებელი საჭიროებაა და, როგორც ახლო მოძმის საკუთრება, სცდილობენ უფრო ქართულის ენის შესწავლას. ახლა ოსები თითქმის ქართველებად სთვლიან თავიანთ თავს. რადგან ოსები რუსულს საოხუჯოდ ჰხმარობენ, იმისთვის საოხუჯოდვე აქვთ ნაწოდები მეტი სახელი რუსულ ენით. მომეტებულ ნაწილს ოსებისას მეტი სახელებით იხსენიებენ. მაგალითად, ყავდინას მეტ სახელად უწოდებდნენ „ზაპროგაის“ და მთელი ხეობა ამ სახელით იცნობდა. რა წამს გაისმა სიტყვა „ზაპროგაი“, ჩაფრებმა სწრაფად შეკაზმეს ცხენები. ერთის საათის შემდეგ, თითქმის განთიადისას, ჭ—თის ვიწრო ხეობაში ცხენების თქაფი-თქუფი-ღა მოისმოდა...

გავიდა მთელი თვე, ყავდინას რიხიანი განკარგულება მებატონის კარზედ აღარ ისმოდა. კვლავ ერთ თვეზედ მეტი მოჰგვიანებია მთაში ღალების და საბალახების კრეფაზედ და იმის დაგვიანებაზედ არავინ ნაღვლობდა. ამ ხანებში შინაურ საქმეების გამო მთაში მომიხდა წასვლა. მთელი დღე გზაში ვიყავ და, რადგან საღამოს შეუძლებელი იყო დანიშნულ ადგილას მიმეხწია ს. ჯ—ს მივატანე და იქ ერთ გლეხ-კაცის სახლში ჩამოვხტი. ჩემი მსახური ცხენებთან დარჩა კარზედ და მე სახლში შემიწვია, მოხუცმა სახლის პატრონმა, ლუამ. შევყე მასპინძელს, მაგრამ არაფრად მიამა, როდესაც ვნახე მისი შევიწროვებული მდგომარეობა: დარბაზშივე ჰქონდა გამართული საქონლის ბოსელი, კაცი, ქალი, ძაღლი და რაც რომ ებადა შიგ—მოექცია. ოსებში ხშირია ცალკე პატარა ოთახის შენახვა სასტუმროთ, მაგრამ ეხლანდელი მასპინძელი მოკლებულ იყო ასეთს ცხოვრებას. არც ოსის ჩვეულებრივი სისუფთავე ეტყობოდა ცხოვრებაში. შესვლის უმალ დიასახლისებმა, ანუ, როგორც თვით ეძახიან, ქისზგებმა მოჰკიდეს ხელი ცოცხებს და, იწყეს დარბაზის დასუფთავება. მეტი გზა არა მქონდა, უნდა ვმდგარვიყავ მტვერში. შემდეგ, შუა დარბაზში, კერას ახლო, დადგა მოხუცმა ხის უბრალო სავარძელი და მითხრა: „სპად ელდარუო“ [10]). დავემორჩილე მასპინძელს. ხშირი ბინდი იყო; ვთხოვე მოხუცს, ჩემი ბიჭი შემოეყვანა და დაელევიებინა ჩაი, რომლის კუთვნილება ყველა თან მქონდა. მოხუცმა ცოტა ტორტმანის შემდეგ,—დამახინჯებულის ქართულით მომმართა:

— „ბატონო, სენი წირიმე, ბიჭები არა გაქვს; ცხენებს რაღას-ბალას უნდა [11]),დალალული გაქვს, და მე მოგართვი“.

— კარგი-მეთქი, ვუპასუხე.

ცოტა ხანს შემდეგ შემომიტანა ლუამ ხურჯინი. ყველა ამოვალაგე და ვუთხარი, როგორც უნდა მოემზადებინა ჩაი.

მოხუცი შეუდგა საქმეს და მე იქვე ფიცრებით შეკრულს ტახტზედ გავიშალე ნაბადი და წამოვწექი, რომ ძილით მაინც გამეტარებია გულ-შემხუთველი მოწყენა...

ლუამ ძლიერ მალე გამაღვიძა: ჩაი მზად არისო, მითხრა. მეც წამოვდექი, ჩემ ბიჭს უკვე დაებინავებინა ცხენები და შემოსულიყო. ზეზედ რომ დამინახა, მიეშურა ჩაის ჭურჭელს, მეც ხის სავარძელს მივაშურე და წამოვსკუპდი ყეინივით. მოსამსახურემ ჩაი რომ დაუშვა სტაქანში,

---

[4]) ღმერთმანი.

[5]) ჩემი მკვდრის ცხონებამ.

[6]) ოსი.

[7]) მოიცათ.

[8]) არა, არა და არა.

[9]) ღმერთმა დაგლოცოს.

[10]) დაბრძანდი, ბატონო.

[11]) ტარება.

ვთი მოგვეცეს საიდგანმე სიღარიბისა და სიცივისაგან შევიწროვებულ ყელამდის ვალში მყოფთ მცხოვრებთ..

ტატიაშვილი

რუსეთის ცხოვრება

—

გზათა მინისტრის კრივოშეინის მოადგილედ გაზეთები ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ივაშჩენკოს ასახელებენ.

—

„Рус. Жиз.“ შეუტყვია, რომ შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, ფინანსებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებს მოუწონებიათ აზრი იმ კომისიისა, რომელიც იკვლევდა საშუალებას თავად-აზნაურობას როგორ შეარჩინოს მიწათ-მფლობელობა და შეიმუშავა კიდეც წესი თავად-აზნაურთა მამულის დროებით ხელ-შეუხებლად გამოცხადებისა.

—

ჩინეთის საგანგებო ელჩი, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ II-ის ტახტზედ ასვლის გამო გამოგზავნილია მისალოცავად, პეტერბურგს იანვარში მოვა.

—

სამხედრო სამკურნალო აკადემიის პროფესორთ: ა. ი. ტარანეცკის, თავ. ი. რ. თარხან მოურავსა და ნ. ა. კრუგლევსკის სამეცნიერო მოღვაწეობას 20 დეკემბარს 25 წელიწადი შეუსრულდა. ხმა დადის, რომ ხუთის წლით კიდევ იქმებიან დატოვებულნი ესენი პროფესორის თანამდებობაზედ.

—

გაზ. „ნოვოსტი“ იუწყება, რომ ამ ჟამად ბალტიის მხარეში მხოლოდ ერთად-ერთი სათავად-აზნაურო სემინარია-ღაა დარჩენილი, რომელსაც სამოსწავლო საქმის ცვლილებანი ჯერ არ შეეხებია. ეს სემინარია კუნძულს ეზელზეა და კარმელის სემინარია ეწოდება სახელად. როგორც ხმა ისმის, განათლების სამინისტროს ეხლა-კი გადაუწყვეტია, მომავალ სამოსწავლო წელში ან შესცვალოს ბალტიის გუბერნიების სხვა სამსახელმწიფო სემინარიების დაგვარად და ან გაუქმდეს, თუ ადგილობრივი თავად-აზნაურობა ამ სამინისტროს მიერ წარდგენილს ცვლილების შეტანის წინადადებას უარს ჰყოფს.

—

პოლონეთის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფმა გენ. გურკომ უკვე დაანება თავი პოლონეთის დედა-ქალაქს ვარშავას და საზღვარ-გარეთისკენ გაემგზავრა. გაცილებაში დიდი მონაწილეობა მიუღია, როგორც „Нов. Вр.“ კორესპონდენტი ამბობს, ვარშავაში მყოფ ჯარსა და რუსის საზოგადოებას. რაკი ძველი მთავარმმართველი გავიდა, ეხლა ახალის მოლოდინში არიან ვარშაველები. ამ ახალის მოსვლა ზემოხსენებულ კორრესპონდენტს ყველაზედ-კი მეტს აფიქრებს. მას როგორღაც და სადაცყურიი მოუკრავს, რომ ამ ახალმა კაცმა იქნება ახალი რამეც მოიტანოს, ისეთი რამ ახალი, რომ პოლონელებს რაღაც უკეთესის მომავალის იმედიც-კი ეძლევათო. ასე გასინჯეთ, ბევრსა ჰგონია, რომ გენ. ალბედინსკის მმართველობის დრო დადგაო, იმ ალბედინსკისა, რომელიც პოლონელებს ყოველთვის თავაზიანად, სიყვარულით და რბილად ეკიდებოდა; ამ ახალს გარემოებებში ზოგს კიდევ 1815 წლის პოლონეთის კონსტიტუციაც აგონდებათო, — წუწუნებს პეტერბურგელ გაზეთის კორესპონდენტი.

მაგრამ ყოველივე ეს ხმა, იმდენად ტყუილი და უსაფუძვლო უნდა იყოს და არის კიდეცაო, იმშვიდებს თავს ვარშაველი კორესპონდენტი. ვერ წარმოვიდგენ, რომ გრ. შუვალოვი სხვა გზას დაადგება და არა იმას, რომელზედაც ისე მარჯვედ და გონივრულად მიდიოდა გენ. გურკო. ეს მით უფრო შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რაკი ეს ყველასათვის ცხადია, რომ გრაფი შუვალოვი ყოველთვის ნათელი გამომხატველი ყოფილა ალექსანდრე მესამის ეროვნულ პოლიტიკისა. რაკი ეს ასე არისო, ჩვენ, პირიქით იმედი გვაქვს, დასძენს ხსენებული კორესპონდენტი, რომ, ერთის მხრით ამიერიდგან რუსული ენა უფრო მეტად გავრცელდება პოლონეთში, რუსული თეატრი დაფუძნდება, რუსული ჟურნალ-გაზეთობა დაიბეჭდება, სხვა-და-სხვა რუსული საზოგადოებანი დაარსდებაო და მეორეს მხრით-კი პოლონელების ჩვენთან განცალკევების სურვილს-კი ფრთები შეეკვეცებაო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Нов. Вр.“-ში დაბეჭდილია წერილი კ. კ. სენტ-ილერისა „სავალდებულო სწავლის შემოღების“ შესახებ. ეს საგანი, როგორც ვიცით, ახლად აღძრული არ არის. ამ ოცის წლის წინად საერო განათლების სამინისტრომაც განიხილა იგი. ყველა შუაგულ გუბერნიების საერო სასწავლებლების დირექტორებმა და ინსპექტორებმა ის აზრი წარადგინეს სამინისტროში, რომ შესაძლებელია სავალდებულო სწავლების შემოღება მთელს იმპერიაში. ამ მოსაზრებებიდგან აი რა საზოგადო დასკვნა გამოჰყავს პეტერბურგელს პედაგოგს:

„1) დირექტორების და ინსპექტორების უმრავლესობამ აუცილებელ საჭიროებად სცნო შემოღება სავალდებულო სწავლისა ბევრად თუ ცოტად ხანგრძლივის დროის განმავლობაში.

„2) ყველამ ერთხმად აღიარა საჭიროება ყველგან სკოლების დაარსებისა სავალდებულო სწავლის შემოღებამდე, სადაც-კი ეს შესაძლებელი იქნება.

„3) დირექტორების აზრით, ამ სკოლების აშენებისთვის საჭირო ხარჯი ერობისა და სხ. ადგილობრივ თანხიდგან უნდა იყოს დაფარული, მაგრამ ბევრგან ხაზინასაც დასჭირდება ხარჯის გაწევა.

„4) თუ სწავლა სავალდებულოდ იქნება შემოღებული, მაშინ ეს ვალდებულება ერთგვარად უნდა იყოს დაკანონებული როგორც ვაჟებისა, ისე ქალების შესახებაც.

„5) სწავლის დრო სამს წელიწადზედ მეტი უნდა იყოს; დირექტორთა უმრავლესობამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ყმაწვილები 7—12 წლამდე უნდა დადიოდნენ სასწავლებელშიო.

„6) თითქმის ყველა დირექტორმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ხალხი ამ საქმეს გულიანად მოეკიდება და მშობლები სიხარულით გაჰგზავნიან შვილებს სასწავლებელშიო“.

წერილის ავტორი შემდეგ სავალდებულო სწავლების უმთავრესს დანიშნულებას შეეხება და შენიშნავს, რომ

„უმთავრესი დანიშნულება სავალდებულო სწავლისა ის-კი არ არის, რომ მშობლების სურვილის თანახმად ყველა ყმაწვილებს ნება მიეცეს სასწავლებელში სიარულისა, არამედ ისა, რომ ჩამოერთვას მშობლებს ის უფლება, გაჰგზავნონ თუ არა სკოლაში თავისი შვილები. ამ რიგად, რაკი ერთხელ და სამუდამოდ იქნება დაკანონებული სავალდებულო სწავლა, სახელმწიფო განათლებას ისეთ სიკეთედ იცნობს, რომლის ყმაწვილებისაგან გამოწირვაც შეუძლებელი-და იქნება, ისე როგორც შეუძლებელია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წართმევა, რომელიც იმათ ხელუხლებელ საკუთრებად ითვლება. ამისათვის მშობლები მოვალენი არიან ან შინაური განათლება მისცენ შვილებს, ან არა-და პირველ-დაწყებითს სასწავლებლებში ასწავლონ.

ასე ესმისთ ეს საგანი დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებსა.

გერმანია, შვეიცარია, ჰოლლანდია, ავსტრია და სკანდინავიის სახელმწიფოთ სავალდებულო სწავლება დიდი ხანია შემოიღეს. იტალიამ, ესპანიამ, საფრანგეთმა და პორტუგალიამ ხომ დიდი ხანია მიჰბაძეს იმათს მაგალითს. სავალდებულო სწავლა აგრეთვე მიღებულია ბალკანეთის ნახევარ კუნძულის მართლ-მადიდებელს სახელმწიფოებშიაც. მხოლოდ ბელგიასა და ინგლისში არ არის მიღებული სავალდებულო სწავლების კანონი, თუმცა-კი დაკანონებულია განსაზღვრულ რიცხვის სასწავლებელთა დაარსება. ასეთივე განკარგულებაა ამერიკის ყველა სახელმწიფოში.

ამ გვარადაო, — დასძენს სენტ-ილერი, —

„ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის მხოლოდ ერთს რუსეთს არა აქვს არც კანონი სავალდებულო სწავლებისა და არც ის წესი, რომ სასწავლებლები ყველგან იყოს დაარსებულიო“.

**

გაზ. „Неделя“ ერთს უცნაურს ამბავს მოგვითხრობს.

ნიჟეგოროდის მაზრის 5-თე ნაწილში ერობის უფროსად ვილაცა ლაუბე იყო. ლაუბემ თავისს მოადგილე ს. ა. მიხაილოვს თურმე და-

---

თავი გაიქნ-გამოიქნია. ღავუწყე ცქერა სტაქანს. მასპინძლები გაფაციცებით თვალ-ყურს გვადევნებდნენ. სტაქანი რომ გაივსო ჩაის ფერი ვერ შევამჩნიე. დაუწყე ბიჭს ტუქსვა: რახ ჰგავს, რა არის, კაი ჩაი ვერ გიყიდნია-მეთქი. მსახური შეკრთა. სახეზედ ცხადათ შეეტყო იჭვიანობა: კიდეც ბრალს იდებდა, კიდეც არა. ბოლოს ვნახეთ ჩაის გემო. უცნაური რამ იყო. გავშინჯეთ ჩაიდანი და, თქვენ მტერს ის ელდა, რა ელდაც ჩვენ გვეცა. რაც ჩაი გვქონდა საგზაოთ, ლუას სულ ჩაებნია ჩაიდანში და ზედ კიდევ ხახვი დაეჭრა!.. ვიწუხეთ, მაგრამ რა გაეწყობოდა. დავრჩი უჩაიოდ. ამოვალაგებინე ბიჭს რაც თან გვქონდა სანოვაგე და ვახშამს შევუდეგით.

ლუა მივიწვიე ვახშამზედ. — იგრძნო, რომ თავისის ჩაის დაყენებით უსიამოვნება მომაყენა და დაიწყო ბოდიშის ხდა. სამი ჭიქა რომ შესვა, შევეკითხე:

— რომლის ნაყმევი ხარ, ან ვის მამულზე დგეხარ?

— ვისი ნაყმევი?! გაოცებით სთქვა ლუამ: ვისი უნდა ვიყო? ახლა ბატონი სად არის?! მოურავის ნაყმევი ვარ, ნაყმევი კი არა ყმა, სენი წირიმე!. ყავდინას ყმა ვარ, ზაპროგაის რომ ეძახიან. მამულიც იმისი მიჭირავს; ბატონი არც-კი ვიცი რა სახისაა. ეჰ, ჰე-ჰე.. ნეტავ, შენი სიცოცხლით ბატონის ნახვას ველირსო, მაშინ ამ დღეში აღარ ვიქნებოდი, როგორშიაც ეხლა ვარ: ცხრა წელია, რაც ამ მამულზე ვიმყოფები. როცა ეს მამული ავიღე, ბატონიშვილი მაშინ ვნახე და გავურიგდი, ღმერთმა აღდეგრძელოს!.. — ამათვალ- ჩამათვალიერა და მითხრა: დადექი, შვილო, და როცა მოეწყობი, რასაც შენი სახლიკაცი იძლეოდა, ის შენ მომეციო“. მამული ჩემი სახლიკაცის ნაბეითალმანი ნადელია. რადგან საცა წინად ვიდექი, იქ ცუდი ფუზი იყო და შვილები არა მრჩებოდა, ვიფიქრე, მეც არა ამიტყდეს რა მეთქი და ამ მამულის აღება ვიკისრე. ღმერთმა აცხონოს ჩემი სახლიკაცი, კეთილი სული იყო, ბატონთან ნამსახური, გამოცდილი ცხოვრებაში — ნასწავლი. თქვენ ღმერთმა იმის მოსვლამდე გაცოცხლოთ. — აძლევდა უსტავი ღრამატის ძალით წელიწადში თუმანს. ბატონთან მორიგებით მეც ის უნდა მეძლია ახლა, მაგრამ თუმნის მეტს არ მართმევს მოურავი? ეხამად ამოუვიდეს, რაც იმას ჩემგან მეტი მიჰქონდეს. თუმანს გარდა, თუმანი კიდევ საძოვრისა დამადო! ცხვრის საბალახე ისე უჯიათად მართვა, რომ ცხვარი გამიწყვიტა. ტყის ფულს, — სხვა მთებში ორი მანეთია — მე თუმანს მართმევს. ერთი სამად მიმატა ხარჯი! განა თქვენი ბედნიერი თვალი არა ჰხედავს, რის ხმარებაც შემიძლია? ვაჟიშვილი მე არა მყავს, მე და ჩემი ქოქიონო [12]) კვირაში ერთ ღერს შეშას ძლივსა ვწვავთ. ესეთ ტანჯვასა და ვაებაში ვართ მოურავის ხელში. თუ გავაჯავრეთ, ისეთ ამბავს უზიდავენ მებატონეებს, რომ იქნება აგვყარონ კიდეც. ბატონის ნახვას ვინ გვაღირსებს. თვითონ ბიჭებივე შეგვიკრავენ გზასა: ეს შინ არა ბრძანდებაო, ეს სძინავსო, ეს პურს მიირთმევს და სხვა. თუ მეტი ფული ბატონთან ჩადის კიდევ მადლობა ღმერთს..“

ლუამ შესვა მეოთხე ჭიქა, მოიწმინდა შიგ ჩასველებული ულვაში და სახე გაბწკინებულმა, გულ-ნატკენად ამოიკვნესა:

— ეჰ, სენი წირიმე, ბატონო, რომელი ერთი ვთქვა: ყავდინას გადმკიდე, ერთა წისქვილი არ დატრიალდა ჩემ თავზედ, თორემ სხვა ყველა ვიხადე... ერთხელ ჩირდილში გავედით მე და ჩემი ვაჟიშვილი. აი, დედასა, ცემო პავლე!... ეჰ, გავედით, სენი წირიმე, და დავიწყეთ ახოს კეთება. იმ ახოს გაკეთებაზედ ნებართვი არა მქონდა აღებული ყავდინასაგან. ან რა ნება მინდოდა! როცა სახნავად, გავაკეთებდი, ვიცოდი ხარჯი არ ამცდებოდა და გაკაფილი მიწა ჯიბეში არ დაიმალებოდა. ვნახოთ, ყავდინა თავისს ჩაფრებით თავს წამომადგა! დამიწყო მათრახით ცემა. შევევედრე: მოხუც კაცს ნუ მკლავ ახოს გულისთვის მეთქი. ისევ ბატონს ვმატებ მეთქი. რაც დავაშავე გადაგიხდი მეთქი, მაგრამ იშვირა თავი და შეუშვირა ქვასა..: გაუწყრა ჩვენი წმინდა ჯივერჯის [13]) მადლი; დამიშინა და დამიშინა! მომეშველა პავლე, მიეშველენ იმას ჩაფრები და ადგა საოცარი ჟაპი-ჟუპი!.. მეტის ცემისგან, რომ დავვოსდი, — წამოვწევი მიწაზედ და მელასავე გავინაბე. შეხედეს ღმერთს: დამანებეს თავი; მაგრამ, სამაგიეროდ, აუჭრელეს თავპირი პავლეს. გამოვიდა მოთმინებიდგან პავლე, გამოსჭრა იქვე კეტი შვინდის ხისა და სდრუზა ყავდინას ცხენს. ცხენმა იქვე ჩაიკვეთა მუხლები, მაგრამ... ოი, და, და და! ჩვენი გლეხ კაცი! ღმერთმა... აბა რა ვთქვა.. ქრისტემ დასწყევლოს, თუ ერთი შეიმატა რამე ცას ეპოტინება, გამხეცდება.. ყავდინამ იძრო წელიდგან დამბაჩა და შიგ გულში დასცა! ჩემი შვილი, კომლში გახვეული, მკვდარი რომ ვნახე, დავიწყე დაჭრილ დათვივით ღრიალი... უკულმა დაბერდეს ის დღე და ის საათი, როდესაც მე ყავდინას ხელში ჩავარდი!.. ის იყო და ის. ყავდინა მე თვალით აღარ მინახავს. მოჰკურცხლეს ჩემი სახლისკენ. იქიდგან მომტაცეს ძროხა და ბატონს ჩაჰგვარეს, რადგან მკვლელობის გამო იმის შველას საჭიროებდნენ. ჩემის ძროხით მოიმადლიერეს, თორემ თითონ შესჭამდნენ. რა უნდა მექმნა მე უბედურს?!. დავემორჩილე ჩემს უკუღმართ ბედს: შვილი დავმარხე, ვაჟი-კაცი... მას აქედ ჩემს ოჯახს ხეირი აღარ აყრია. განა თქვენი ბედნიერი თვალი არა ჰხედავს? ერთი სამიოდ ბოჩოლა მიგდია, ისიც მშივრები მეხოცება უპატრონობით. ვარ ვაი-ვაგლახში! ხარჯი ისევ ერთი სამად მაძევს. სამი წელიწადია არ აუღიათ და ერთბაშად დამანიავებენ. მაგრამ ახლა აღარ მეშინიან: ვენაცვალე იმის მარჯვენას, ვინც ის ჩააღრძო ძაღლივით. ჩემი და ჩემი შვილის ცოდვა მოეწია, არ შერჩა უსამართლობა... მართალია, ჩემი პავლეს მოკვლამ ფუჭად ჩაიარა, მაგრამ, არც ბოგალის [14]) სიკვდილი დაფარდა სამართალში...

ლუამ მოკლეთ მიამბო, როგორც აეჩეხნათ ხმლით ყავდინა ბიბილაშვილი ოსებს, რომლებიც დახვედროდნენ ჭ—ის ვიწრო ხევში. ეს მომხდარა იმ ღამეს, ყავდინა რომ თავისს მონათესავეთ და მეზობლებს გამოესალმა. ხევში დასეოდნენ ხუთამდე ოსი; მათ შორის ფარსიც რეულიყო, ჩაფრებს ელალატნათ ყავდინასთვის და თავი დაენებებინით. დამნაშავენი სამართალმა, ხალხის ჩვენებით მართლად იცნო. თვით ყავდინა დაასაფლავეს ბიბილაანთ სოფელში, რომლისთვისაც გული არავის შესტკივნია. უცხოს ყველას უხაროდა მისი სიკვდილი. მონათესავენიც ისე ცივად მოეკიდნენ, რომ დღესაც ქვა არ დაუდვიათ იმის საფლავზედ. ცხენი და იარაღი, რაც ჰქონდა, ქალბატონს წაერთმევინებინა მონათესავებისთვის: „ერთგული-კი არ იყო, ბევრსა მპარავდაო!..

ა. ერისთავი.

---

[12]) ცოლის სახელია.

[13]) გიორგი.

[14]) მოურავი.

უწყო წაბაძვა, ე. ი. ყველა თავისი ხელქვეითი უცბად შეაფუცხუნა და ყოველ გვარი საშუალება თურმე იხმარა, რომ მუდმივს შიშში ჰყოლოდა“.

აი რაში მდგომარეობდა ეს „საშუალებანი“.

გლეხები „ყოველგვარს სასტიკობას ითმენდნენ“, მაგრამ ლაუბეს მაინც არ სჯეროდა, რომ გლეხები საკმაოდ გაიწვრთნენ და ამიტომ გატანა სანადირო თოფი და გაემგზავრა თავისის სამწყსოსაკენ გლეხების ამოსაჟლეტად.

გლეხთაგანი ზოგი სად მიიმალა, ზოგი სად. ტყვია ტყვიას მისდევდა, მაგრამ საბედნიეროდ დაჭრით არავინ დაჭრილა.

ამ არა ჩვეულებრივის ნადირობის შესახებ ნიჟეგოროდის მაზრაშა „ხმა მაინც ყველგან გავრცელდა“ და დაანიშნა გამოძიება.

გამოდგა, რომ ბ-ნს ლაუბეს გლეხების დაშინება სენად გარდაქცეოდა და სულიერადაც შერყეულიყო.

ამ ჟამად ლაუბე ნიჟეგოროდის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში იმყოფება.

◆ ◆

უცხოეთი

—

ინგლისი. სტამბოლის სასახლეში მომხდარ უკანასკნელს სხდომაზედ მინისტრთა საბჭომ დაადგინა, სომხებისათვის სხვა-და-სხვა ცვლილებანი შემოიღონ დედა-აზრი ამ ცვლილებათა ის არის, რომ ერზერუმისა, ვანისა, ბიტლისა და მუშის პროვინციები ერთს ვილაიეტად შეაერთონ და ხუთის წლით საკუთარი გუბერნატორი დაუნიშნონ. გუბერნატორი სულთანის ამორჩეული უნდა იყოს. პირველი გუბერნატორი მაჰმადიანი იქმნება, დანარჩენები-კი ქრისტიანები, ხოლო არა სომხები. ადგილობრივი ჟანდარმერია ჩაბარდება სულთანის მიერ დანიშნულს გენერალს. რაც შემოსავალი იქმნება, თამბაქოს გადასახადის გარდა, ვილაიეტშივე დარჩება. მოსამართლეებსაც ხმის უმეტესობით აირჩევენ, მხოლოდ თავმჯდომარე ძველებურადვე დაენიშნებათ.

—

ჩინეთი. ამერიკის ერთი გაზეთი ამტკაცებს, რომ იაპონელებს ჰსურთ შემდეგი პირობები წარუდგინონ ჩინეთს მშვიდობიანობის ჩამოსაგდებადაო: 1) იაპონიამ და ჩინეთმა მტკიცე კავშირი იქონიონ ევროპის სახელმწიფოთა წინაალმდეგ; 2) იაპონელებს თავისუფლად შეეძლოთ მთელს ჩინეთში ვაჭრობა, და 3) გარდაჰქმნა ჩინეთის ჯარისა იაპონიის შემწეობით. თუ მართლა იაპონიას ჰსურს ასეთი პირობები წარუდგინოს ჩინეთსაო, ამბობს გაზეთი „Temps“-ი, მაშინ იმ სახელმწიფოთ, რომელნიც მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ჩაერივნენ იაპონია-ჩინეთის საქმეში, სინანულის მეტი არა დარჩებათ-რა, რადგანაც ეს სახელმწიფოები სრულიადაც არა ოცნებობდნენ, რომ შორეულს აღმოსავლეთში ყვითელკანიან ტომების კონფედერენცია მოეხდინათ და ისიც იაპონელების ზედ-გავლენის ქვეშაო“. ამერიკის გაზეთის მიერ ნაუწყები ამბავი ცოტა არ იყოს უნდა ჰკოჭლობდეს სიმართლის მხრივ, რადგანაც არ არის ნაჩვენები არც ფულით გარდასახადი და არც მიწა-წყლის დათმობა. რაც შეეხება ტოკიოში გასაგზავნ ელჩით, ჯერ არ არის გამოცხადებული, ვინ იქმნებიან გაგზავნილები.

—

იტალია. იტალიაში ოპოზიცია თან და თან უფრო სასტიკად ეკიდება კრისპის. ყველაზედ დიდად იმოქმედა კავალლოტის პროკლამაციის გამოქვეყნებამ. ამ პროკლამაციაში ისეთის უშვერის სიტყვებით არის მოხსენებული მინისტრი, რომ ცოტა არ იყოს ჩვენებურს კაცს ეუცხოება, მინისტრს ამას როგორ უბედავენო. რა არ არის ნახსენები ამ პროკლამაციაში კრისპის შესახებ: ორი ცოლი გყოლიაო, ცოლის შერთვის დროს სკანდალი მოგიხდაო, რივინაკმა მოგისყიდა და 50,000 ფრანკი მოგართვაო, ხელმწიფის ერთგულიც არა ხარო, მხოლოდ ელაქუცებიო. ვინ ამბობს, ბევრჯელ ყოფილა მაგალითი, რომ პატიოსანი კაცი გაულანძღავთ ტყუილ-უბრალოდ, მაგრამ შენ იმათ რიცხვში ვერ ჩაითვლები, რადგან ყოველი შენი სისაძაგლე საბუთებით დამტკიცებულიაო. ერთის სიტყვით, საზოგადოება წინაალგიდგა და გეუბნებ: „გა“! ჩვენგან.

—

ინგლისი. გლადსტონს 85 წლის შესრულების დღეს, მრავალი მილოცვის დეპეშა მიუვიდა და ჰოვარდენში პარისსა და ლონდონში მცხოვრებელ სომეხთა დეპუტაციაც მიეგება, დეპუტაციამ ოქროს ბარძიმი მიართვა ჰოვარდენის ეკკლესიისათვის იმის სახსოვრად, რომ დიდებული მოხუცი სომხებისთვისაც ჰზრუნავს. გლადსტონმა სთქვა, რომ თუ აქამდის არაფერი გამიკეთებია-რა სომხებისათვის, ეს იმიტომ-კი არა, რომ მე გულცივად ვეპყრობოდი, არამედ იმიტომ, რომ ვიდრე საქმე არ გამოირკვევა, არაფრის თქმა არ შეიძლებაო, ხოლო თუ მართლა გამართლდა ის ხმები, რომელიც ისმის, მაშინ-კი ყველამ უნდა აღვიმაღლოთ ხმა და წყევა-კრულვა შევუთვალოთ ოსმალეთს ბოროტ-მოქმედებისათვის, რათა ვაგრძნობინოთ სულთანს თავისი უგუნური საქციელიო. მთავრობა, რომლის იმ გვარს საზიზღარს საქციელს სჩადის, შემაგინებელია წინასწარმეტყველის მაჰმადის სახელისა და ცივილიზაციისა, წყევაა მთელის კაცობრიობისა. ვიდრე პირში ენა მიდგას, —სთქვა დასასრულ გლადსტონმა,— ჩემს ხმას კაცობრიობის საკეთილ დღეოდ „აღვამაღლებო“.

◆ ◆

უცხოეთის წვრილი ამბავი

—

გერმანიის გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად გერმანიაში გამოჩენილა ერთი საკვირველი ბავშვი; კარლ ულრიხი, რომლის ტანისა და ახოვანებისა ჯერ არავის უნახავს. ბავშვი სულ 14 წლისაა (1880 წ. დაბადებულა) და ახლავე სიმაღლით თითქმის 2 არშინი და 10 გოჯია. მარტო ერთი არაბი იყო მიუნხენში, რომელიც სიმაღლით 240 სანტიმეტრს უდრიდა, მაგრამ მაშინ იგი 16 წლისა იყო. როგორც კარლ ულრიხის მნახველები ჰმოწმობენ, სიმძიმით 8 ფუთი და 30 გირვანქაა. ხელის გულის სიგანე 14 სანტიმეტრს უდრის და შუა თითი ისეთი მსხვილი აქვს, რომ ბეჭდად „ტალერი“ გაუკეთდებაო. ულრიხს ფალავნობა უნდა თურმე და იმედია, მალე ყველა ფალავნებს გადააჭარბებს.

◆ ◆

სასამართლოს მატიანე

ციმბირიდგან გამოქცეულის განსამართლება

—

გუშინ-წინ, 22 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სისხლის სამართლის განყოფილებას შემთხვევით მოუხდა 84 წლის ყარა-ალი-ჰუსეინ-ოღლის საქმის გარჩევა. ამ კაცს ციმბირიდგან გამოქცევა ჰბრალდებოდა. 1884 წ. ათის წლით მადნებში მუშაობა თურმე გადუწყვიტეს ამ ბრალდებულს. ღრმა მოხუცების გამო ყარა-ჰუსეინს მადნებში მუშაობა არ შეეძლო, ამისათვის ის სემიპალატინის ოლქში გაჰგზავნეს, საიდგანაც გამოქცეულა. ბრალდებულმა აღიარა, რომ მართალია, ნებადაურთველად გადმოვედი ჩემს სამშობლოშიო, და ამ საქციელს იმითი ამართლებდა, რომ მოხუცების გამო მუშაობა არ შემეძლო და სხვებმა მითხრეს, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის ციმბირში მოგზაურობის გამო გამოსულ მანიფესტის ძალით, ნება გაქვს სამშობლოში დაჰბრუნდეო.

სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ სცნო და ოთხმოცის „როზგის“ დაკვრა და სამის წლით მადნებში სამუშაოდ გაგზავნა მიუსაჯა. („ტფილ. ფურც.“).

◆ ◆

დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადდა ყოვლად უმოწყალესი რესკრიპტი გრაფ პავლე ანდრიას ძის შუვალოვის სახელობაზედ.

შინაგან საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენებისამებრ 15 დეკემბერს, უმაღლესად ნაბრძანებია: რადგანაც თავდება ხელ-შეკრულობის ვადა, რომელიც დადებული იყო დეპეშათა ყოფილ დეპერტამენტისა და „ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოს“ დამაარსებელთა შორის, 1895 წლის 1 იანვრიდგან პეტერბურგში არსდება ახალი დეპეშათა სააგენტო. სახელდობრ „რუსეთის დეპეშათა სააგენტო.“ ამ სააგენტოს დამაარსებლად და პატრონებად არიან პეტერბურგის და მოსკოვის გაზეთების გამომცემლები, რომელთაც ამხანაგობა შეადგინეს. რუსეთის „დეპეშათა სააგენტოს“ დეპეშები ნება დაურთველად ვერც გადაიბეჭდება და არც კედლებს და სხვა-და-სხვა დაწესებულებში გაიკვრება, ვიდრე 48 საათი არ გაივლის მიღების შემდეგ. ამ სააგენტოს დირექტორად და გამგედ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დანიშნულია დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პოზნიაკი.

კალუგა. კალუგის ერთის მცხოვრებელის სახლში, რომელიც გოგოლს გადამწერად ჰყოლია, გოგოლის, მოთხრობის „Мертвыя души“-ს მეორე ნაწილი იპოვეს. ხელთნაწერი დამთავრებულია და „Русское слово“-ს რედაქციას გაეგზავნა დასაბეჭდად.

რომი გენერალი ბარატიერი მასსოვიდგან აუწყებს მთავრობას, რომ დახმარება აღარ მეჭირებაო. დერვიშები ვერ გაჰბედავენ კასსალუზედ იერიში მიიტანონ. ადუზედ იერიშის მიტანამ თავისს დანიშნულებას მიაღწია. მოსაზღვრე მამასახლისები, რომლებიც სამტროდ იყვნენ ამხედრებულნი, დაშინდნენ. ბარატიერი უკვე დაბრუნებულა ადუიდგან და მცხოვრებთა დამშვიდება აბესინელ სამღვდელოებისთვის მიუნდვია.

სტამბოლი. ბეკლისის გუბერნატორი ტაქსინ ფაშა, რომელიც ჰხელმძღვანელობდა სასსუნის მცხოვრებელთა მოწინააღმდეგეთ, სომეხმა მოკლა. თვით მკვლელმაც თავი მოიკლა. ბეკლისში სომხები დიდად გამძვინვარებულნი არიან მთავრობის მოხელეთა მოქმედებით და მზად არიან ლონეს მიჰმართონ. სტამბოლში დეპეშაა მიღებული, რომ ქურთები ერცინგლავის ოლქის ეცინს თავს დაესხნენო.

სოფია. სამხედრო სასამართლოს გამომძიებელმა ბრძანება გასცა სტამბულოვის დაპატიმრებისა, ვითარცა ბელჩევის მკვლელობაში მონაწილეობის მიმღებისა. მაინც-კი სტამბულოვი ჯერ კიდევ არ არის დაპატიმრებული. ამბობენ, ვითომ ზოგიერთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა აგრძნობინეს ბოლგარიის მმართველებს, რომ სტამბულოვის კვლავ დევნა ავნებს და აზარალებს ბოლგარიასაო.

◆ ◆

განცხადებანი

სამასკარადო ტანისამოსი

ქალებისა და კაცებისათვის, აგრეთვე შავი დომინო იძლევა ქირით, იაფად.

ადრესი: ვერა, აგურხანის ქუჩა, № 26, სახლი საფაროვისა.

(2—138—1)

მომავალ დღესასწაულებისათვის
ისყიდება
კახეთის საუკეთესო
ღვინოები

თუნგი 60 კაპ. ვიდრე 3 მანეთამდის, ბოთლი 12 კაპ. ვიდრე 1 მანეთამდის.

სარდაფი იმყოფება შუაბაზრის თავში, წინამძღვარიშვილის შენობაში, № 1.

ს. ი. კურდღელოვი

(2—131—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩაქიანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიატასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაშეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცეუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	4
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
სატაური ან. თუმანიშვილისა	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა	„	40
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

—

Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Декабря 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.